

შეფასების სისტემა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება ხდება აქტივობის, შუალედურ გამოკითხვებზე მიღებული შედეგებისა, პრეზენტაციისა და საბოლოო გამოცდაზე მიღებული შედეგების მიხედვით.

1. აქტივობა - 15 ქულა

სტუდენტის აქტივობა ფასდება სემინარაზე. სტუდენტის აქტიურობის შეფასება ხდება მისი ყოველდღიური ტესტური გამოკითხვის საფუძველზე. ტესტი მოიცავს 30 MCQ ან სწორია/არასწორი ტიპის კითხვას. თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით.

საბოლოოდ, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის აქტიურობა ფასდება 10 ყოველდღიური ტესტის საშუალო არითმეტიკულით.

2. მიმდინარე ჩათვლები - 40 (20X2) ქულა

თითოეული ჩათვლა ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით. I ჩათვლა მოიცავს ზოგადი იმუნოლოგიის მასალას. სტუდენტს მოეთხოვება ლექციებსა და სემინარულ მეცადინეობებზე განხილულ საკითხთა ცოდნა. II ჩათვლა ტარდება სრული კურსის დასრულებისთანავე და მოიცავს იმუნოლოგიის სპეციალურ ნაწილს. ჩათვლები ტესტურია. ტესტი მოიცავს 40 MCQ ტიპის კითხვას. თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით.

3. პრეზენტაცია – 5 ქულა

სტუდენტის მოხსენებაში ფასდება:

ა) თემის აქტუალობა. თემის აქტუალობა პრეზენტაციაში მსმენელისთვის თვალსაჩინო არ არის - 0 ქულა; სტუდენტმა კარგად დაასაბუთა პრობლემის აქტუალობა - 1 ქულა.

ბ) პრეზენტაციის გაფორმების ხარისხი. პრეზენტაცია სამეცნიერო პრეზენტაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს - 1 ქულა; პრეზენტაცია არ აკმაყოფილებს სამეცნიერო პრეზენტაციის კრიტერიუმებს - 0 ქულა.

გ) პრეზენტაციის შინაარსი. პრეზენტაციაში არ არის განხილული დაავადების იმუნოპათოგენეზი - 0 ქულა; არ არის დამუშავებული თანამედროვე წყაროები, დაავადების დიაგნოსტიკაში იმუნოლოგიური მეთოდები და მკურნალობის იმუნური მიდგომები არ არის წარმოდგენილი - 0.5 ქულა; ზემოთ ნახსენები ყველა კომპონენტი სრულფასოვნად არის წარმოდგენილი პრეზენტაციაში - 1 ქულა.

დ) მოხსენების უნარი. სტუდენტის არგუმენტირებული მსჯელობა, ეფექტური ინტერაქცია ფასდება 1 ქულით; სტუდენტის არგუმენტირებული მსჯელობა, არაეფექტური პრეზენტაცია - 0.5 ქულით; არაარგუმენტირებული, არაეფექტური პრეზენტაცია - 0 ქულით.

ე) შეკითხვებზე პასუხი. სტუდენტმა ვერ უპასუხა კითხვებს - 0 ქულა; ზოგიერთ კითხვას უპასუხა - 0.5 ქულა; ყველა კითხვაზე სრული პასუხი გასცა - 1 ქულა.

პრეზენტაციაში აკადემიური სიყალბის (პლაგიატი, ფალსიფიკაცია და სხვ.) დადგენის შემთხვევაში, სტუდენტი შუალედური შეფასების ამ კომპონენტით არ ფასდება.

4. საბოლოო გამოცდა – 40 ქულა

სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება, თუ სემესტრის განმავლობაში მისი შუალედური შეფასება და საბოლოო გამოცდის შეფასება შეადგენს 51 ქულას.

ზეპირი გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში ტესტური სახით. თითოეული ბილეთი მოიცავს იმუნოლოგიის სრულ მასალას. ბილეთში არის 100 ტესტი. თითოეული ფასდება 0.4 ქულით.

კრედიტის მისაღებად:

1. საბოლოო შეფასება არ უნდა იყოს 51-ზე ნაკლები.
2. გამოცდაზე აუცილებელია დადებითი შეფასების მიღება (მაქსიმალური 40 ქულიდან 24 ქულა მაინც).

საბოლოო შეფასება.

არსებობს ხუთი დადებითი შეფასება:

91 - 100 - A

81 - 90 - B

71 - 80 - C

61 - 70 - D

51 - 60 - E

და ორი უარყოფითი შეფასება:

41 - 50 - FX

0 - 40 - F

იმ შემთხვევაში თუ ყველა სასწავლო კომპონენტის ჯამი 41 და მეტ ქულას შეადგენს სტუდენტს აქვს გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება. 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა საგანი განმეორებით უნდა შეისწავლოს. საბოლოო გამოცდა განმეორებით ინიშნება მხოლოდ ერთხელ.